

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ჯემინი



ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგება

2024 დასრულებული წლისათვის

რაც მოიცავს პერიოდს

01.I.2024 დან ~ 31.XII.2024 მდე

თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებული და
წარდგენილია

საქართველოს ეროვნულ ვალუტაში

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია

მცირე საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
სტანდარტის შესაბამისად.

თბილისი,

რუსთაველის გამზ. #26

2025 წ. სექტემბერი

შპს ჯემინი

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ინდივიდუალური - სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2023	2024
		1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
ამონაგები	4	- 4 807 893 -	5 132 985 -	6 033 328
სხვა შემოსავალი	4	- 67 122 -	35 991 -	25 556
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-	1 768 327	1 693 067	2 022 162
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა	-	1 476 560	1 622 338	1 916 591
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	73 358	80 349	80 970
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-	-	-
სხვა ხარჯები	5	1 041 912	1 070 974	1 136 669
ფინანსური დანახარჯები	-	-	-	7 652
მოგება დაბეგვრამდე	-	- 514 857 -	702 247 -	894 840
მოგების გადასახადის ხარჯი	6	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება	-	- 514 857 -	702 247 -	894 840

საწარმოს დირექტორი

სოფიკო გადელია



შპს ჯემინი

ინდივიდუალური - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

3024 წლის 31 დეკემბრისათვის

	შენიშ	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	-	161 610	298 585	385 107
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	148 626	246 904	70 985
წინასწარ გადახდილი გადასახადი	-	29 098	10 319	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	1 560 107	1 784 433	2 071 789
		1 899 441	2 340 240	2 527 881
გრძელვადიანი აქტივები				
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	-	-	-	-
ძირითადი საშუალებები	9	381 220	454 675	429 298
არამატერიალური აქტივები	10	15 588	15 027	12 773
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	-	-
	-	396 808	469 702	442 071
სულ აქტივები	-	2 296 249	2 809 942	2 969 952
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	11	105 264	309 515	98 742
გადასახდელი პროცენტი	-	-	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-	482	-	78 162
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	-	-	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	-	-	-
	-	105 745	309 515	176 904
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი	-	-	-	-
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოები	-	-	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	-	-	-
	-	-	-	-
სულ ვალდებულებები	-	105 745	309 515	176 904
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	12	51 000	51 000	51 000
გაუნაწილებელი მოგება	-	2 139 504	2 449 427	2 742 048
		2 190 504	2 500 427	2 793 048
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 296 249	2 809 942	2 969 952

საწარმოს დირექტორი

სოფიკო გადელია



შპს ჯემინი

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ინდივიდუალური - ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მიწოდებიდან შემოსულობები	-	4 812 329	5 341 629	6 289 088
სხვა შემოსულობები	-	-	172	-
გაცემული ხელფასები	-	1 153 652	1 496 978	1 435 002
გადახდილი გადასახადები	-	778 301	941 132	904 624
გადახდილი ჯარიმები	-	-	-	-
გაცემული მომწოდებლებზე	-	2 507 087	2 303 152	3 249 096
გაცემული საქვენგარიშო პირზე	-	4 325	8 507	7 469
საბანკო მომსახურების ხარჯი	-	9 018	21 415	99 596
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	359 946	570 617	593 301
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების შეძენა	-	27 333	177 154	53 340
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	-	-	-
ინვესტირება შვილობილ საწარმოში	-	-	-	-
მიღებული პროცენტები	-	1 016	4 891	18 229
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	26 317	172 263	35 111
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალის შემოტანა	-	-	-	-
ნასესხები სახსრების გადახდა	-	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	300 000	261 500	471 125
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	300 000	261 500	471 125
გადაფასების შედეგები	-	3 611	123	4 893
ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	-	131 592	161 610	293 148
ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	-	161 610	298 585	385 107
საწარმოს დირექტორი				5 437
სოფიკო გადელია				543

შპს ჯემინი
2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ინდივიდუალური კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესებო კაპიტალი 1 ლარი	აკუმ. მოგება 1 ლარი
კაპიტალი 2022 წ. 31 დეკემბრით	-	51 000	2 139 504
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	702 247
პერიოდის დივიდენდები	-	-	- 323 839
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	-	- 68 486
პერიოდში დამფუძვნებლის შემონატანი	-	-	-
კაპიტალი 2023 წ. 31 დეკემბრით	-	51 000	2 449 427
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	894 840
პერიოდის დივიდენდები	-	-	- 591 891
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	-	- 10 329
პერიოდში დამფუძვნებლის შემონატანი	-	-	-
კაპიტალი 2024 წ. 31 დეკემბრით	-	51 000	2 742 047

საწარმოს დირექტორი
სოფიკო გადელია



შპს ჯემინი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

ინდივიდუალური განმარტებითი შენიშვნები

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯემინი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, რუსთაველის 26

საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო.

მისი ძირითადი საქმიანობაა მზის და მხედველობის დამზადება სათვალეების და ლინზების (აქსესუარების) საცალო და საბითუმო მიწოდება და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სამუშაო ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან ის წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

თავდაპირველი აღიარება

საწარმომ უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებს თავდაპირველი აღიარებისას ასახავს სამუშაო

ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ იყენებს უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსს, ოპერაციის თარიღისათვის.

წარდგენა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმო:

(ა) უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაიყვანს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით;

(ბ) არაფულადი მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულებით, გადაიყვანს ოპერაციის თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით;

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

დარიცხვის მეთოდი

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარის გათვალისწინებით როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ანგარიშგება.

საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ რადგან მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებისას ხელმძღვანელობა გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია მომავლის შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით.

ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს (მათ შორის, შესადარისი ინფორმაცია) საწარმო ადგენს წლიურ საფუძველზე და წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

2024 წლის ანგარიშგებები მომზადებულია სტანდარტულ პერიოდზე და მოიცავს ზუსტად კალენდარულ წელს - 12 თვეს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება,

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასებებსა საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არაფინანსური აქტივების შეფასდება შემდეგი საფუძვლით:

(ა) ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი),

(ბ) მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და

ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებების მოდელით, ანუ დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების სახით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ნაშთის შემცირებადი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
მანქანა დანადგარები	20%
ავტომანქანები	15%
კეთილმოწყობის აქტივი	15%
სხვა აქტივები	15%

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა წარმოებს თვითღირებულების მეთოდით, ანუ დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზები პრინციპად გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი.

ამორტიზების გამოყენებული ნორმა	15%
--------------------------------	-----

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

ჩამოწერის თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელის

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმო აფასებს მას გარიგების ფასით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აფასებს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ,

(ა) სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ამონაგები

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან ამოიქვითება საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

4. ამონაგები

საქონლის მიწოდებიდან შემოსავალი

საიჯარო შემოსავლები

სადაზღვეო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი

გააფასების შემოსავალი

უსასყიდლო მიღებები

	2022		2023		2024
	1 ლარი		1 ლარი		1 ლარი
-	4 807 893	-	5 132 985		6 033 328
	-		-		-
	-		-		-
	-	-	4 891		20 432
	-	-	31 101		5 125
	-		-		-
-	4 807 893	-	5 168 976		6 058 885

5. სხვა ხარჯები

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
იჯარის ხარჯი	534 962	546 333	645 907
სამეურნეო მასალების და რემონტები	56 716	44 766	37 574
კომუნალური ხარჯი	48 986	74 277	51 798
კომუნიკაციის ხარჯი	21 937	34 163	20 048
საკონსულტაციო ხარჯი	1 913	39 746	50 131
სარეკლამო და მიწოდები ხარჯი	93 374	33 237	33 556
სატრანსპორტო ხარჯი	11 907	44 495	38 499
დაცვის ხარჯი	9 362	9 071	9 225
დაზღვევის ხარჯი	5 486	4 588	4 516
მივლინების ხარჯი	2 623	12 580	4 406
საგადასახადო ხარჯი	56 417	47 541	45 700
ბანკის საკომისიო	57 968	72 925	104 013
გადაფასების ხარჯი	103 578	35 319	-
სხვა ხარჯი	36 682	71 934	91 296
	1 041 912	1 070 974	1 136 669

6. მოგების გადასახადის ხარჯი

საწარმო საქმიანობის ესტონური მოდელის რეჟიმში და მას მოგების გადასახადი წარმოექმნება მხოლოდ მოგების განაწილების მომენტში, შესაბამისად გაუნაწილებელი მოგების მოიცავს სრული უხეშ მოგებას 15%-იანი მოგების გადასახადის ჩათვლით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	11 023	22 273	12 401
საქვენგარიშო თანხები	80	-	772
წინასწარი გადახდები	137 524	224 631	57 812
	148 626	246 904	70 985

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
ნედლეული და მასალები	1 062.83	859.06	97.84
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-
მზა პროდუქცია	1 559 043.90	1 783 573.54	2 071 691.19
	1 560 107	1 784 433	2 071 789

9. ძირითადი საშუალებები

	საწყისი	შემოსვლა	ცვეთა
2022 წელი	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
მიწა	40 000	-	-
შენობა-ნაგებობები	18 232	-	912
ავტომანქანა	33 812	-	6 762
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	72 713	1 048	14 607
ავეჯი და ინვენტარი	98 412	6 543	20 055
სარეკლამო ინვენტარი	22 311	1 550	4 488
ელექტრონული მოწყობილობები	14 250	1 619	3 022
კომპიუტერული ტექნიკა	33 677	2 952	6 927
საიჯარო ფართის კეთილმოწყობა	92 300	12 575	14 002
	425 708	26 288	70 776
2023 წელი	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
მიწა	40 000	-	-
შენობა-ნაგებობები	17 321	-	866
ავტომანქანა	27 050	-	5 410
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	59 154	11 790	12 431
ავეჯი და ინვენტარი	84 900	33 094	21 029
სარეკლამო ინვენტარი	19 373	22 266	6 324
ელექტრონული მოწყობილობები	12 847	25 247	6 179
კომპიუტერული ტექნიკა	29 702	5 160	6 684
საიჯარო ფართის კეთილმოწყობა	90 873	50 119	18 776
	381 220	147 676	77 698
2024 წელი	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
მიწა	40 000	-	-
შენობა-ნაგებობები	16 454	-	823
ავტომანქანა	21 640	-	4 328
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	58 514	2 247	11 282
ავეჯი და ინვენტარი	98 130	21 612	21 394
სარეკლამო ინვენტარი	35 642	3 201	7 315
ელექტრონული მოწყობილობები	32 018	4 201	6 755
კომპიუტერული ტექნიკა	28 218	7 935	6 609
საიჯარო ფართის კეთილმოწყობა	124 060	18 638	20 211
	454 676	53 340	78 717

10. არამატერიალური აქტივი

შედგება პროგრამული უზრუნველყოფისაგან რომელსაც არ გააჩნია ვადა, ცვეთის ნორმა შეადგენს 15% და 2024 წელს დარიცხული ცვეთაა 2254 ლარი პერიოდის განმავლობაში მიღებული იყო 0.00 ლარის ახალი საშუალება.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022 1 ლარი	2023 1 ლარი	2024 1 ლარი
სავაჭრო კრედიტორები	45 336	254 470	65 790
მიღებული ავანსი	52 656	52 594	11 873
საპენსიო	1 402 -	847 -	251
საქვენგარიშო	-	2 330	-
სხვა	5 869	969	21 331
	105 264	309 515	98 742

12. სააქციო კაპიტალი

2023 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 51 000 ლარს; რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან. ცვლილება არ მომხდარა.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მაკორექტირებელი და არა-მაკორექტირებელი მოვლენები

არანაირი მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები არ გამოვლენილა 2024 წლის დასრულების შემდგომ.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 26 სექტემბერს

საწარმოს დირექტორი
სოფიკო გადელია

